შემოდგომა

შემოდგომის სურნელება დადგა,
შორეული მოგონებაც ელავს.
როიალი ახმაურდა სადღაც
და ღამდება პარასკევი ნელა.

ახლა ვატყობ, რომ სიცოცხლე არ ღირს,
სიკვდილშიაც ხომ არ არის შელა.
ასე ნელა გავიარე ბაღი,
ასე ნელა ჩამოვშორდი ყველას.

ისევ მინდა შევებრძოლო ქარებს
და ვიღაცას უდარდელად ძინავს,
ვიყო ასე დარჩენილი გარეთ,
ქუჩა იყოს სამუდამო ბინა.

ალბათ დილას ჩამოწვება ნისლი,
მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს.
სადღაც დიდი ტაშისცემა ისმის,
სხვათაშორის, მწუხარეა ვიღაც.

მე მივდივარ და მიცქერის ხალხი,
ჩემი სახე გუმბათივით ელავს.
ასე ნელა გავიარე ბაღი,
ასე ნელა ჩამოვშორდი ყველას.